

პროგრამა „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“

პროგრამული კოდი - 32 13

2020

მუხლი 1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. პროგრამის დასახელება	ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი
1.2. პროგრამის განხორციელების ვადები	2020 - 2025 წლები
1.3. პროგრამის საპროგნოზო ჯამური ბიუჯეტი	119,208,045 ლარი
კრედიტის წილი	119,100,000 ლარი
საბიუჯეტო სახსრები (თანადაფინანსების ნაწილი)	108,045 ლარი
1.4. პროგრამის კოორდინატორი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე
1.5. ბიუჯეტის განმკარგავი	პროგრამის აღმასრულებელი დირექტორი
1.6. ოპერაციული მენეჯერები	კომპონენტების ხელმძღვანელები
1.7. პროგრამის კომპონენტები	<ol style="list-style-type: none"> 1. ადრეული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; 2. ზოგადი განათლების გარემოს გაუმჯობესება სწავლება - სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით. 3. უმაღლესი განათლების ხარისხისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით უმაღლესი განათლების დაფინანსების გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა. 4. განათლების მონაცემთა სისტემის განვითარება, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაძლიერება; 5. პროგრამის ეფექტიანი მართვის, მონიტორინგისა და შეფასებების მხარდაჭერა.

მუხლი 2. პროგრამის აღწერა

პროგრამა „ინოვაციები, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ (შემდგომში – სამინისტრო) მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამა მიზნად ისახავს ადრეული განათლების, ზოგადი და უმაღლესი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია 2020-2025 წლებში.

პროგრამის „ინოვაციები, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის მიერ 2018-2023 წლების განათლების რეფორმის დღის წესრიგის უზრუნველყოფას, მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომში – სკოლა) შესაძლებლობების გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამის დანერგვას. პროგრამა შესაბამისობაშია მსოფლიო ბანკის საქართველოსთან პარტნიორობის 2019-2022 ჩარჩო-დოკუმენტთან.

პროგრამა „ინოვაციები, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ ეფუძნება საერთაშორისო სასესხო ხელშეკრულებას, რომელსაც ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის (სესხის ნომერი 8955-GE) მსოფლიო ბანკის „საქართველოს ინოვაციის, ინკლუზიისა და ხარისხის

პროექტის“ ფარგლებში (P168481) 2019 წლის 18 ივნისს (შემდგომში - სასესხო ხელშეკრულება). სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერისთვის წინასწარ მომზადდა პროგრამის შეფასების დოკუმენტი, რომელიც მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცდა 2019 წლის 22 აპრილს. პროექტის რატიფიცირება პარლამენტის მიერ 2019 წლის 16 ოქტომბერს განხორციელდა. მსოფლიო ბანკის მიერ განსაზღვრულ იქნა სესხის ეფექტურობის წინაპირობა, რომლის შესაბამისად შემუშავდა პროექტის მართვის სახელმძღვანელო (POM), რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ იქნა დამტკიცებული და რომლის მიხედვითაც განხორციელდება პროექტის მართვა. 2019 წლის 27 ნოემბერს პროექტის მართვის სახელმძღვანელოს (POM) დამტკიცების შემდგომ სესხი გახდა ეფექტური. სასესხო ხელშეკრულებით პროექტის ჯამურ ღირებულებად 128,310,000.0 აშშ დოლარი განისაზღვრა, საიდანაც IBRD / IDA 102.700,000.0 აშშ დოლარის ინვესტიციას განხორციელებს.

პროგრამის შინაარსი და მიზნები, აგრეთვე პროგრამის განხორციელების სტრატეგია და შედეგები სრულყოფილად რეგულირდება პროგრამის მართვის სახელმძღვანელოს (POM) საფუძველზე. ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში, ამ ბრძანების შინაარსსა და სასესხო ხელშეკრულების/პროგრამის მართვის სახელმძღვანელოს (POM) შინაარსს შორის, უპირატესობა ენიჭება სასესხო ხელშეკრულებასა და პროგრამის მართვის სახელმძღვანელოს (POM).

მუხლი 3. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ადრეული განათლების ხელმისაწვდომობის, ზოგადი და უმაღლესი განათლების ხარისხისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება. პროგრამა ასევე ხელს შეუწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საგრანტო დაფინანსების გზით დაწეროს ისეთი მოდერნიზებული აკადემიური პროგრამები, რომელიც უპასუხებს დამსაქმებლის საჭიროებებს და განათლების მონაცემთა სისტემის განვითარებას შეუწყობს ხელს.

პროგრამის მიზანი მიღწეული იქნება სასესხო ხელშეკრულების განრიგი 1-ის შესაბამისად განსაზღვრული 5 კომპონენტისა და შესაბამისი ქვე-კომპონენტის ფარგლებში:

კომპონენტი 1 - ადრეული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

კომპონენტის ამოცანა: შერჩეულ დაწესებულებებში ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

ქვე-კომპონენტები:

- (I) ადრეული განათლების პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება ქვეყნის მასშტაბით;
- (II) ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება სკოლაში წარმატებული ტრანზიციის მიზნით;
- (III) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ინოვაციური დაწყებითი და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით.

კომპონენტი 2 – ზოგადი განათლების საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით

კომპონენტის ამოცანა: შერჩეულ სკოლებში სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს ხარისხიან განათლებას.

ქვე-კომპონენტები:

- (I) სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებისთვის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- (II) მთელი სკოლის შესაძლებლობების გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამების დანერგვა/გაფართოების მხარდაჭერა;
- (III) მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის განვითარების მხარდაჭერა სასწავლო გეგმების შემუშავება-განვითარებისა და განხორციელების მიზნით;
- (IV) ეროვნული შეფასების ჩარჩოს შემუშავების/განხორციელების ხელშეწყობა.

კომპონენტი 3 – უმაღლესი განათლების ხარისხისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით უმაღლესი განათლების დაფინანსების გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა

კომპონენტის ამოცანა: საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

ქვე-კომპონენტები:

- (I) უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელების შემუშავება და მათი დანერგვის ხელშეწყობა;
- (II) საჯარო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანი ინიციატივებისთვის საგრანტო დაფინანსების ფონდის შექმნა;
- (III) უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
- (IV) განათლების ყველა საფეხურისთვის მასწავლებლების მოსამზადებელი საუნივერსიტეტო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება.

კომპონენტი 4 – განათლების მონაცემთა სისტემის განვითარება, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაძლიერება

კომპონენტის ამოცანა: სწავლისადმი დამოკიდებულების შეცვლა

ქვე-კომპონენტები:

- (I) განათლების ყველა დონეზე, მონაცემების ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- (II) ეფექტიანი საკომუნიკაციო სტრატეგიის განვითარების მიზნით, მიმდინარე განათლების რეფორმის შესახებ დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და კონსულტაციები.

კომპონენტი 5 – პროგრამის ეფექტიანი მართვის, მონიტორინგისა და შეფასებების მხარდაჭერა

კომპონენტის ამოცანა: პროგრამის ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობა, მათ შორის პროგრამის მართვის ჯგუფის (PMU) შექმნა-ფუნქციონირების ხელშეწყობით პროგრამის მართვისა და მონიტორინგის განხორციელება, რაც გულისხმობს ოპერაციული ხარჯების, მომზადება-გადამზადების, საკონსულტაციო მომსახურების, სამოგზაურო და დღიური ხარჯების, ასევე პროგრამის აუდიტის უზრუნველყოფას.

ქვე-კომპონენტები:

- (I) PMU-ს - პროგრამის მართვის ჯგუფის შექმნა-ფუნქციონირება სამინისტროს დაქვემდებარებაში;
- (II) PMU - პროგრამის მართვის ჯგუფი პასუხისმგებელია უზრუნველყოს ტექნიკური დახმარება და საქონლის მოწოდება *(პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოების მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის გამოყენებით, ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან (MDF) შექმნილი პროექტის მართვის გუნდი (PMT)).*

კომპონენტი უზრუნველყოფს პროგრამის მართვის ჯგუფის (PMU) და ფონდის თანამშრომლების (PMT) ხელფასების დაფინანსებას, მათი ტრენინგებს. ასევე ოპერაციული ხარჯებს, მიზნობრივ ტექნიკურ დახმარებას ბანკისთვის სპეციფიკური შესყიდვის პროცესებთან დაკავშირებით, პროექტის შეფასებას და მონიტორინგისთვის ღონისძიებების დაფინანსებას.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების სტრატეგია

სამინისტრო (MESCS) უზრუნველყოფს პროგრამის „ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი“ პოლიტიკის განხორციელებას და პროგრამის „ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი“ ხარისხის კონტროლს.

პროგრამის განხორციელებას ხელმძღვანელობს პროგრამის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც არის პროგრამის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი და მას პროგრამის მართვის ჯგუფთან (PMU) ერთად მართავს.

პროგრამის განხორციელების პროცესში მართვის ჯგუფი (PMU) პასუხისმგებელია პროგრამის ეფექტურ, კოორდინირებულ განხორციელებაზე და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე. ის უზრუნველყოფს მიმდინარე საქმიანობის მართვას, პროგრამის შესყიდვების გეგმის შესრულებას, წლიური და მიმდინარე გეგმების მომზადებას, დადგენილი წესით პერსონალის დაქირავებას და შეფასებას. სამინისტროს (MESCS) დავალებით მართვის ჯგუფი (PMU) პროგრამის ამოცანების შესრულების მიზნით უზრუნველყოფს კომუნიკაციას ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისა (შემდგომში – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) და სკოლების ადმინისტრაციასთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან (ადგილობრივ ხელისუფლებასთან), ასევე ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციას. მართვის ჯგუფი (PMU) ანგარიშვალდებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისა და მსოფლიო ბანკის წინაშე.

პროგრამის ეფექტურად განხორციელების მიზნით პროგრამის მართვის ჯგუფი (PMU) დაკომპლექტებული იქნება კვალიფიციური, განათლების რეფორმების განხორციელების მართვის პროცესის გამოცდილების მქონე კადრებით. მსოფლიო ბანკის სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად, ჯგუფის წევრები პასუხისმგებელი იქნებიან პროგრამის ეფექტიანობასა და წარმატებით განხორციელებაზე, რისთვისაც ხელმძღვანელობენ სხვადასხვა საქმიანობას, მათ შორის: მართავენ პროგრამის კომპონენტებს, ახორციელებენ ფინანსურ მართვას, მონიტორინგსა და შეფასებას, ამზადებენ ანგარიშებს, მართავენ საკონსულტაციო შეხვედრებს და ა.შ. პროგრამის კომპონენტების ხელმძღვანელები შეიმუშავენ მათი მართვის კომპონენტის ქვე-კომპონენტების განხორციელების კონცეფციას, სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებს, რომელიც დაეფუძნება მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული პროექტის მართვის სახელმძღვანელოში (POM) დასახული და პროგრამით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას.

სამინისტრო პროგრამის აღმასრულებელ დირექტორთან და პროგრამის მართვის ჯგუფის (PMU) წევრებთან (კონსულტანტებთან) ინდივიდუალურ ხელშეკრულებებს გააფორმებს. პროგრამის აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნასთან დაკავშირებულ კონტრაქტს ხელს აწერს პროგრამის კოორდინატორი მინისტრის მოადგილე, ხოლო პროგრამის აღმასრულებელი დირექტორი ხელს აწერს პროგრამის მართვის ჯგუფის (PMU) წევრებისა და პროგრამის სხვა თანამშრომლების დანიშვნასთან დაკავშირებულ კონტრაქტებს, პროგრამის დოკუმენტაციას/ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს და აფორმებს ხელშეკრულებებს სამინისტროს მიერ დამტკიცებული ამ პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის 2019 წლის 18 ივნისს ხელმოწერილი საერთაშორისო სასესხო ხელშეკრულებისა და პროგრამის მართვის სახელმძღვანელოს (POM) საფუძველზე, პროგრამის მართვის ჯგუფი (PMU) შედგება შემდეგი წევრებისგან (კონსულტანტებისაგან):

1. აღმასრულებელი დირექტორი;
2. პროექტის მენეჯერი;
3. ადმინისტრაციული მენეჯერი;
4. ფინანსური მენეჯერი;
5. გადარიცხვების სპეციალისტი/ბუღალტერი;
6. შესყიდვების სპეციალისტი (2);
7. მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი;
8. ადრეული განათლების კომპონენტის ხელმძღვანელი;
9. ზოგადი განათლების კომპონენტის ხელმძღვანელი;
10. უმაღლესი განათლების კომპონენტის ხელმძღვანელი;
11. მონაცემთა ინტეგრაციის მენეჯერი;
12. შესაძლებლობების განვითარების, ურთიერთობებისა და კომუნიკაციების კონსულტანტი;
13. პროექტის კოორდინატორი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით - ინჟინერი.

აღმასრულებელი დირექტორი აფორმებს ხელშეკრულებებს პროგრამის მართვის პროცესში საჭირო სხვა დამატებით და პერიოდულად საჭირო თანამშრომლებთან (მაგალითად: იურისტი, დისტანციური განათლების კონსულტანტი და სხვა). დამატებითი კადრების დაქირავება პერიოდულად მოხდება პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე.

პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნით სამინისტროს მიერ შეიქმნება პროგრამის საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც შედიან:

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პროგრამის კომპონენტების შესაბამისი მიმართულების მოადგილე/მოადგილეები;
- მსოფლიო ბანკის მიერ განსაზღვრული წარმომადგენელი/წარმომადგენლები (სათათბირო ხმის უფლებით);
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, რომელიც ზედამხედველობს პროგრამის შესაბამისი კომპონენტების განხორციელებას;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, რომელიც ზედამხედველობს სახელმწიფო ვალის მართვასთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და ორმხრივ პარტნიორებთან თანამშრომლობასა და კოორდინაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;

- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი;
- პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორის - მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი;
- პროექტის აღმასრულებელი დირექტორი.

საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით. პროგრამის მიზნებიდან და აქტივობებიდან გამომდინარე, ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით, აღმასრულებელი დირექტორი უფლებამოსილია საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე დასასწრებად (სათათბირო ხმის უფლებით) მოიწვიოს შესაბამისი პირები.

საკოორდინაციო საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2-ჯერ. აღმასრულებელი დირექტორი საკოორდინაციო საბჭოს წარუდგინოს პროგრამის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას, როგორცაა:

- პროგრამის ქვეკომპონენტების მიღწევები და შედეგები;
- დაგეგმილი აქტივობები;
- პროგრამის რისკები და მათი დამლევის სტრატეგიები.

თავის მხრივ, საკოორდინაციო საბჭოს აქვს უფლება მოითხოვოს პროგრამის მართვის გუნდთან შეხვედრა არაგეგმიურად, საჭიროებებიდან გამომდინარე. საკოორდინაციო საბჭო გამოთქვამს მოსაზრებებს და პროგრამის აღმასრულებელ დირექტორს რეკომენდაციებს აძლევს პროგრამის მიმდინარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

პროგრამის მიზნებიდან და აქტივობებიდან გამომდინარე, პროგრამის მართვის ჯგუფი (PMU) ითანამშრომლებს სამინისტროს ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სკოლებთან, მუნიციპალიტეტებთან, რიგ შემთხვევებში სხვა სამინისტროებთან, სახელმწიფო, კერძო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე მუნიციპალური განვითარების ფონდთან.

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულთან თანამშრომლობა გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება, პროგრამის ფარგლებში სამინისტროს მიერ შექმნილ (პროგრამის აღმასრულებელი დირექტორის მიმართვის საფუძველზე თემატური სამუშაო ჯგუფები მტკიცდება მინისტრის ბრძანებით) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ **თემატურ სამუშაო ჯგუფებთან** კომუნიკაციას.

მართვის ჯგუფი (PMU) რელევანტურ ჯგუფებს გააცნობს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებსა და ღონისძიებებს, მათგან უკუკავშირის მიღების შემდგომ განიხილავს მიღებულ რეკომენდაციებს საქმიანობაში გათვალისწინების მიზნით და უზრუნველყოფს არგუმენტირებულ უკუკავშირს. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია თემატური ჯგუფების შექმნა სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად:

- ადრეული და სკოლამდელი განათლების ჯგუფი;
- მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების ჯგუფი;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტების ჯგუფი;
- უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელზე მომუშავე ჯგუფი;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებელთა მომზადების პროგრამების ჯგუფი;
- სასკოლო ინფრასტრუქტურის ჯგუფი;
- ეროვნული შეფასებების განახლებული ჩარჩოს შემუშავების ჯგუფი;

- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემის განვითარების ჯგუფი;
- სტრატეგიული კომუნიკაციისა და დონორების კოორდინაციის გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
- ასევე, შესაძლებელია შეიქმნას სხვა მიმართულებით თემატური ჯგუფები, პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე.

4.1 კომპონენტების სტრატეგია:

კომპონენტი 1-ის ფარგლებში ადრეული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია დონორის ფინანსური მხარდაჭერა IBRD: 7,487,440 მილიონი ევრო.

ქვე-კომპონენტი 1.1-ის ფარგლებში:

- ჩატარდება ადრეული განათლების სექტორის დიაგნოსტიკური კვლევა, რომელიც გულისხმობს ამ სფეროში არსებული პროფესიონალური განვითარების, მონიტორინგისა და ანგარიშგების, მართვისა და კოორდინაციის სისტემების ანალიზს; ასევე სკოლის ბაზაზე არსებული სასკოლო მზაობის ჯგუფების კვლევას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას; სასკოლო მზაობისა და სკოლაში წარმატებული ტრანზიციის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდება და დაინერგება ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები (მაგ. MELQO და სხვა) საუკეთესო პრაქტიკების შესწავლის საფუძველზე;
- სასკოლო მზაობის ეფექტიანობის ამაღლებისთვის ინტერსექტორული კოორდინაციის გაძლიერების მიზნით შეიქმნება ადრეული და სკოლამდელი განათლების მონაცემთა სისტემატური და ზუსტი მონაცემების მოგროვებისა და კონსოლიდაციის მექანიზმი, რომელიც გაერთიანდება EMIS სისტემებთან;
- ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნება სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მუნიციპალური განვითარების ფონდს, მუნიციპალიტეტებსა და სხვა თემატურად დაკავშირებულ სააგენტოებს შორის კომუნიკაციის ოფიციალური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რეგულარულ და ეფექტიან კოორდინაციას;
- პროფესიაში მყოფ/დასაქმებულ ადრეული განათლების სფეროს სპეციალისტებისთვის მომზადდება სატრენინგო მოდულები ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიური მიდგომების გათვალისწინებით; ჩატარდება ტრენინგთა ტრენინგები;
- შემუშავდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგთა სერტიფიცირებისა და ანაზღაურების სისტემები „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ქვე-კომპონენტი 1.2-ის ფარგლებში:

- განხორციელდება არსებული სასკოლო მზაობის პროგრამის რევიზია;
- შეირჩევა 150 სკოლა განახლებული სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვის მიზნით;
- ხელი შეეწყობა რევიზირებული სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვას; მხარდაჭერილი იქნება სასკოლო მზაობის ჯგუფების აღმზრდელ-პედაგოგების პროფესიული განვითარება; პროგრამების ეფექტიანად განხორციელებისთვის სასკოლო მზაობის ჯგუფები საჭირო ტექნიკით, ავეჯით და ტექნოლოგიით აღიჭურვება. საჭიროების შემთხვევაში სამინისტრო ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით მიზნობრივი საკლასო ოთახების/სასკოლო მზაობის ჯგუფების მცირე რეაბილიტაციას.

ქვე-კომპონენტი 1.3-ის ფარგლებში (განხორციელდება მუნიციპალური განვითარების MDF ფონდის მიერ):

- შეიქმნება და დაინერგება ახალი არქიტექტურული სტანდარტი, რომელიც გააერთიანებს დაწყებითი განათლების (1-6 კლასი) და სასკოლო მზაობის საფეხურებს;
- აშენდება 2-იდან 10-მდე სკოლა , კომბინირებული ფიზიკური და საგანმანათლებლო გარემოთი დაწყებითი განათლებისა და სასკოლო მზაობის საფეხურებისთვის.

კომპონენტი 2-ის ფარგლებში სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება დონორის ინვესტიცია IBRD: 63,999,026 მილიონი ევრო. კომპონენტის მიზანია ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის ამაღლებას შერჩეულ სკოლებში.

ქვე-კომპონენტი 2.1-ის ფარგლებში:

- ქვე-კომპონენტის ფარგლებში განხორციელდება სასწავლო ინფრასტრუქტურის სტანდარტების გადახედვა და განვითარება ევროკავშირის სტანდარტებისა და სპეციფიკაციების შესაბამისად. ამასთან, ახალი სკოლების მშენებლობა დაეფუძნება ქვე-კომპონენტის ფარგლებში შემუშავებულ ეროვნულ სტანდარტებს. ქვე-კომპონენტი ხელს შეუწყობს 2-დან 8-მდე ახალი მოდელის სასკოლო შენობის მშენებლობას, აგრეთვე განხორციელდება შერჩეული 60-მდე სკოლის რეაბილიტაციის მხარდაჭერა.

ქვე-კომპონენტი 2.2-ის ფარგლებში:

- ხელი შეეწყობა მთელი სკოლის გაუმჯობესებისაკენ მიმართული აქტივობების განხორციელებას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხისა და სკოლის მართვის ხარისხის გაუმჯობესებას;
- შეფასდება მთელი სკოლის გაუმჯობესებისაკენ მიმართული არსებული პროგრამების შედეგები და დაიგეგმება განხორციელების შემდგომი ეტაპები;
- ხელი შეეწყობა სკოლებში უსაფრთხო გარემოსა და პოზიტიური სასკოლო კულტურის დამკვიდრებას;
- სკოლების გაძლიერების ეფექტიანი დაგეგმვის მხარდაჭერის მიზნით ჩატარდება დიაგნოსტიკური კვლევა, რომელიც მოიცავს სკოლის მართვის, მასწავლებლების/თანამშრომლების აყვანის პოლიტიკის, დაფინანსების სისტემის, რესურსების ხელმისაწვდომობისა და მოსწავლეების შედეგების შეფასებას. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, დაიგეგმება ხარისხის მართვის სისტემის შემუშავება და ხელი შეეწყობა მის დანერგვას;
- შეირჩევა სკოლები, სადაც სამინისტროს საპილოტე პროგრამების ფარგლებში სკოლებს ექნებათ ინოვაციური და ხელმისაწვდომი რესურსები, როგორც სკოლის გაუმჯობესების პაკეტი, რომელშიც შევა ერთი ან მეტი რესურსი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და ინოვაციების დანერგვისთვის, მათ შორის, მულტიმედიური ლაბორატორია, სამეცნიერო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ტექნოლოგიური აღჭურვილობები, სასწავლო მოდულები, მონაცემთა გამოყენების შესახებ ტრენინგი. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებრივი აქტივობების და სკოლის გაუმჯობესების მასშტაბური იდეების მხარდაჭერა.
- ქვე-კომპონენტი ხელს შეუწყობს ინოვაციური ინიციატივების შემუშავება-დანერგვას მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიმართულებით, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა გოგონების ჩართულობას. აღნიშნული აქტივობა მოიცავს თემატური ინოვაციური პროგრამების დანერგვას, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეების ინტერესების მხარდაჭერას, ნიჭიერთა გადრმავებული სწავლების დანერგვას (სპორტი, მათემატიკა, ტექნოლოგია, ხელოვნება და მეცნიერება და სხვა მიმართულებით).

შეიქმნება STEAM-ის ექსტრაკურსულარული პროგრამები ხელოვნების, მეწარმეობის და სხვა მიმართულებით, თამაშების ჩათვლით (მაგ. Minecraft);

- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა გენდერულ პარიტეტს. ამ მიმართულებით დამოკიდებულებათა ცვლილებების შესაფასებლად ჩატარდება გამოკითხვა/თვისებრივი შეფასება პროგრამების ბენეფიციართა შორის;

ქვე-კომპონენტი 2.3-ის ფარგლებში:

- მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით გადაიხედება და დაიხვეწება უწყვეტი პროფესიული განვითარების ჩარჩო, რომელიც იქნება მოქნილი და შესაბამის საჭიროებებზე მორგებული, ამასთან, გაითვალისწინებს სკოლის შესაძლებლობების შესაბამის ადაპტირებული სასწავლო გეგმების შექმნისა და დანერგვის მხარდაჭერას;

- გადაიხედება და განახლდება სკოლის ლიდერების რეკრუტირებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმები, რომელიც სისტემაში მოიზიდავს პროფესიონალ და პერსპექტიულ ლიდერობის კანდიდატებს;

- გახლებული სქემის მიზნების მისაღწევად, მოხდება სკოლის ლიდერებისა და მასწავლებლების მხარდაჭერა, რისთვის შეთავაზებული იქნება შესაბამისი მომზადება-გადამზადების მოდულები - თანამედროვე პედაგოგიკის, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების, განმავითარებელი შეფასებების, სასკოლო გეგმების, გენდერული მგრძობელობის და ინკლუზიური განათლების მიმართულებით;

ქვე-კომპონენტი 2.4-ის ფარგლებში:

- ამ ქვე-კომპონენტის ფარგლებში, შემუშავდება ზოგადი განათლების შეფასების ახალი ეროვნული ჩარჩო, განისაზღვრება მისი განხორციელების მექანიზმები, ჩატარდება ეროვნული შეფასება, რომელიც დაეფუძნება საპილოტე შეფასებების შედეგებს. შეფასების მიზანია განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელებისა და ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირება სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, მოსწავლეების შედეგების შეფასებაზე გავლენის მქონე ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორების იდენტიფიცირება, რაც მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას შექმნის;

კომპონენტი 3-ის ფარგლებში უმაღლესი განათლების სფეროში დაფინანსების შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და ინტერნალიზაციის მხარდაჭერის მიზნით განხორციელდება დონორის ინვესტიცია IBRD: 9,902,629 მილიონი ევრო. კომპონენტის მიზანია უმაღლესი განათლების ხარისხის და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ქვე – კომპონენტი 3.1 -ის ფარგლებში:

- შემუშავდება უმაღლესი განათლების დაფინანსებისათვის ახალი, მათ შორის, შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელები ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად;

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ახალი მოდელის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით, შესაბამისი ინფორმაციის დამუშავებისა და ინსტიტუციონალური ეფექტიანობის შესაფასებლად, შეიქმნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა.

ქვე – კომპონენტი 3.2 -ის ფარგლებში:

- შეიქმნება ინოვაციების ფონდი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანი ინიციატივების საგრანტო დაფინანსებისთვის. კერძოდ, ინოვაციების ფონდიდან შესაძლებელია

დაფინანსდნენ, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, აგრეთვე ის კერძო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც კონსორციუმის ფორმით საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად წარმოადგენენ ერთობლივ საგრანტო განაცხადს. ფონდი შეიქმნება სამინისტროს ფარგლებში საგრანტო პროგრამის სახით, ასევე მინისტრის ბრძანებით დამტკიცდება ინოვაციების ფონდის მართვის სახელმძღვანელო, რომელიც გაითვალისწინებს ფონდის საქმიანობისათვის საჭირო რეგულაციებს, მათ შორის, ფონდის სტრუქტურას, მიზნებსა და პრინციპებს, გრანტის გაცემის წესებსა და პროცედურებს. ფონდი 45-მდე საგრანტო დაფინანსების გასაცემის გზით ხელს შეუწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გარემოს მოდერნიზებას. მოცემული გრანტები შესაძლებელია მოიცავდეს, მაგალითად, რეფორმის მიზნებიდან და შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირების ინტერესებიდან გამომდინარე, აქცენტს ინოვაციებზე, კვლევისა და ტექნოლოგიების გაძლიერებაზე; აქცენტს თანამედროვე სწავლებაზე, შესაბამის სასწავლო ტექნოლოგიებსა და მეთოდებზე, მათ შორის დისტანციური სწავლების მეთოდზე. ეს საქმიანობა ასევე ხელს შეუწყობს გრანტების დიზაინის შემუშავებას, რისთვისაც შეიქმნება განხორციელებისა და მართვის კომიტეტი და ელექტრონული პორტალი საგრანტო განაცხადების მიღებისათვის.

ქვე-კომპონენტი 3.3-ის ფარგლებში:

- აქტივობები ემსახურება ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაძლიერებას საქართველოში უმაღლესი განათლების მიზნების, ფუნქციებისა და მიწოდების ნაწილში. კომპონენტი ითვალისწინებს ერთობლივი სადოქტორო პროგრამის შემუშავებას განათლებისა და მეცნიერების მენეჯმენტის მიმართულებით.
- ასევე, კომპონენტის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლებისათვის ორი ახალი სასწავლო მოდულის - მეწარმეობის მოდულისა და დარგის სპეციფიკაზე მორგებული ინგლისური ენის მოდულის შემუშავება.
- გარდა აღნიშნულისა, კომპონენტი ითვალისწინებს საერთაშორისო სკოლის დაფუძნებას. საერთაშორისო სკოლა, მოკლევადიანი კურსების შეთავაზებით, ხელს შეუწყობს საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო თანამშრომლობას, ახალი ცოდნის გენერირებას/გაზიარებასა და შექმნის ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად შერჩეულ სფეროებში სწრაფი განვითარების შესაძლებლობას. სკოლა შეიქმნება შერჩეულ სახელმწიფო უნივერსიტეტში (ასევე, შესაძლებელია საერთაშორისო სკოლის შექმნის წინადადება წარმოდგენილ იქნას უნივერსიტეტების პარტნიორობით/კონსორციუმის ფორმით), რომელიც დაინტერესებულია ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლებითა და მოკლევადიანი კურსების ჩატარების ორგანიზებით, რაც კიდევ უფრო მეტ საერთაშორისო სტუდენტსა და მაღალი დონის მკვლევარს/პროფესორს მისცემს საქართველოს გაცნობის შესაძლებლობას. გამორჩეული მომხსენებლების შერჩევა მოხდება მათი სამეცნიერო მიღწევების საფუძველზე. ხოლო სტუდენტები უნდა შეირჩნენ მათი აკადემიური მიღწევების გათვალისწინებით.

ქვე-კომპონენტი 3.4-ის ფარგლებში:

- პირველ ეტაპზე, მოხდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უკვე მოქმედი მასწავლებლების მოსამზადებელი საუნივერსიტეტო პროგრამების ანალიზი და მათი ხარისხის გაუმჯობესებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. შემდგომ ეტაპზე, შეირჩევა უნივერსიტეტები (რეგიონალური კონტექსტის გათვალისწინებით), რომლებიც მასწავლებლების მოსამზადებელი საუნივერსიტეტო პროგრამების განხორციელებაში საუკეთესო გამოცდილების მქონე საერთაშორისო პარტნიორთან თანამშრომლობით, მათ პროგრამებს მოიყვანენ საერთაშორისო სტანდარტებთან

შესაბამისობაში. ამასთან, მოხდება მინიმუმ ერთი უნივერსიტეტის შესაბამისი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაცია. მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, კომპონენტის ფარგლებში მომზადდება ტრენინგ მოდულები და ჩატარდება შესაბამისი ტრენინგები. ასევე, მოხდება საუნივერსიტეტო დონეზე მასწავლებლის პროფესიული განვითარების საკითხზე საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი და შემუშავდება საჭირო რეკომენდაციები, თანამედროვე სწავლა/სწავლების მეთოდებსა და შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარებაზე აქცენტირებით.

კომპონენტი 4 – ის ფარგლებში სისტემის გაძლიერებისა და დაინტერესებული მხარეების კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება ინვესტიცია IBRD: 3,697,035 მილიონი ევრო. კომპონენტის მიზანია საქართველოში სწავლისადმი დამოკიდებულების შეცვლა უფრო პროაქტიულ, სტუდენტებზე ორიენტირებულ, ინოვაციურ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სწავლა/სწავლებაზე ორიენტაციით.

ქვე-კომპონენტი 4.1-ის ფარგლებში:

- გაუმჯობესდება განათლების სისტემის შესაძლებლობები მონაცემების და ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და მათი გავრცელებისთვის მონიტორინგის, ასევე გადაწყვეტილების მიღების მიზნებისა და ინტერვენციების, მათ შორის, გენდერული ნიშნით ინფორმაციის დამუშავების ნაწილში; ხელი შეეწყობა საქართველოში არსებული EMIS-ის სისტემის დიაგნოსტიკასა და მონაცემთა საჭიროებების ანალიზს, სისტემის შემდგომი განვითარების და განახლების სფეროების დასადგენად. არსებული EMIS-ის მონაცემთა ბაზის დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე, ეს ქვე-კომპონენტი ხელს შეუწყობს მონაცემთა ინტეგრაციის პოლიტიკის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას სკოლამდელი განათლებიდან დაწყებული უმაღლესი განათლების საფეხურის ჩათვლით. ეს გულისხმობს ასევე, მონაცემების შეგროვებას, მართვას, სხვა მონაცემთა სისტემებთან კავშირებსა და უსაფრთხოებას, აგრეთვე NAEC-ისა და NCEQE-ს შესაძლებლობების გაძლიერებას შეფასებისა და გამოცდების და ხარისხის უზრუნველყოფის სფეროებში.
- მოხდება არსებული EMIS-ის დიაგნოზი, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა საჭიროებებს საქართველოში განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და განახლებისთვის. წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები და EMIS-ის განვითარების შესაძლებლობების ვარიაციები, რომლის ფარგლებშიც EMIS-ის როლი განხილული იქნება, როგორც ციფრული ტექნოლოგიების მიერ მხარდაჭერილი ოპერაციული პროცესების კომპლექსი, რომელიც საშუალებას მისცემს განათლების სისტემას, ყველა დონეზე ადრეული ბავშვობიდან უმაღლეს განათლებამდე, მოახდინოს ქმედითი და ფართო სპექტრი მონაცემების შეგროვება, აგრეგაცია და ანალიზი. რაც თავის მხრივ მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებისა და ცვლილებების განხორციელების საშუალებებს გააჩენს განათლების სისტემის თანამშრომლებისთვის, ყველა დონეზე მენეჯმენტის, ადმინისტრაციის, დაგეგმვის, პოლიტიკის განსაზღვრის, მონიტორინგისა და შეფასების ჩათვლით.
- მოხდება EMIS-ს გაძლიერების მხარდაჭერა და ცვლილებების განხორციელება, მოხდება ანალიტიკისა და პროგრნოზირების სისტემის დანერგვა, განათლების სისტემის ყველა დონისთვის, დაწყებული ადრეული, დამთავრებული უმაღლესი განათლებით.
- მოხდება EMIS-ის მხარდაჭერა (ა) განათლების ყველა დონის ასახვა, ინფრასტრუქტურისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების ჩათვლით; (ბ) პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; (გ) ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაძლიერება; სტატისტიკური და დიდი მონაცემების შეგროვების, შენახვის, ანალიზის, გრაფიკული ვიზუალიზაციის, მათ შორის კვლევა გეოგრაფიული მდებარეობის

მიხედვით, მონაცემთა უსაფრთხოების დანერგვისთვის საჭირო სერვერული და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაფართოება და გაძლიერება.

- სწავლა სწავლების პროცესში ელექტრონული რესურსების დანერგვისა და პრაქტიკის გაზიარებისთვის შემუშავდება სწავლის მართვის სისტემის (LMS) პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის სამიზნე აუდიტორია იქნება არა მხოლოდ მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია არამედ მშობლები და მოსწავლეები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვადასხვა სასწავლო საჭიროებების მქონე ბავშვები. ელექტრონული პლატფორმა ხელს შეუწყობს სკოლებს გამოიყენონ ციფრული რესურსები, როგორცაა გაკვეთილის გეგმები, ვიდეო გაკვეთილები, პრეზენტაციები, სხვადასხვა ელექტრონული მასალები. მეორეს მხრივ შეგროვებული მონაცემები საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ელექტრონული სწავლებისა და სკოლაზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამის დიზაინი და ზოგადი სტრატეგია, რომელზე დაფუძნებით სკოლები შეძლებენ განსაზღვრონ გაუმჯობესების სფეროები. ამ კომპონენტმა ასევე ხელი უნდა შეუწყოს MoESCS- ს ელექტრონული დისტანციური სწავლების პლატფორმისა და სწავლების მეთოდოლოგიის ვარიანტების განსაზღვრაში, დაგეგმონ და განახორციელონ ღონისძიებები მასწავლებელთა უნარების გასაუმჯობესებლად, სწავლების პროცესში არჩეული პლატფორმისა და მეთოდოლოგიების ეფექტურად გამოყენების მიზნით.

ქვე-კომპონენტი 4.2-ის ფარგლებში:

- პროგრამა დაეხმარება მთავრობას შეიმუშაოს ეფექტური საკომუნიკაციო სტრატეგია მიმდინარე განათლების რეფორმებისა და პროექტის მხარდაჭერილი საქმიანობის შესახებ. დასაწყისისათვის, ეს გულისხმობს, საქართველოში განათლების სისტემის რეფორმირებაზე საერთო ხედვის ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ინოვაციით, ინკლუზიურობით და ხარისხით. ამასთან, შეიქმნება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ წარმომადგენლობით ჯგუფებთან, მათ შორის სტუდენტებთან, მშობლებთან, ზოგადად განათლების სექტორთან, კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან გრძელვადიანი კომუნიკაციის სტრატეგია. ეს სტრატეგია გაითვალისწინებს ასევე განათლების ძირითად პრინციპებსა და ადამიანური რესურსის განვითარებას. ადვოკატირების მიზანია სწორედ ცნობიერების გაზრდა განათლების ძირითადი მიზნების, პრინციპებისა და ადამიანური რესურსის განვითარების ნაწილში იმ ხედვების შესახებ, რომლებიც შესაბამისობაშია ევროპულ მიდგომებთან.

4.2 სამინისტროსთან თანამშრომლობის ფორმატში:

- პროგრამის მართვის ჯგუფი (PMU) სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით შეიმუშავებს შესყიდვებისათვის საჭირო სამუშაო აღწერილობებს/ტექნიკურ დავალებებს;
- სამინისტროს ყველა თემატურად რელევანტური სტრუქტურის თანამშრომელი ვალდებულია აქტიურად მიიღოს მონაწილეობა პროგრამის ფარგლებში სპეციფიკაციების/ტექნიკური დავალებების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის ეტაპზე;
- პროგრამის მართვის ჯგუფი (PMU) სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს გაუზიარებს კონსულტანტების ანგარიშებს;
- სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS) და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE) მიაწვდიან პროგრამის მართვის ჯგუფს (PMU), ასევე, სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს (NAEC) და სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს (TPDC) ამ პროგრამით/ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საჭირო ინფორმაციასა და მონაცემებს;

- სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (NAEC) და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (TPDC) პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე წარუდგენენ საჭირო ინფორმაციას პროექტის მართვის ჯგუფს (PMU), სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS) და სხვა სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ერთეულებს;

- პროგრამის მართვის ჯგუფი (PMU) რელევანტურ სამინისტროებს და ადგილობრივ თვითმმართველობებს განსახილველად წარუდგენს აღმზრდელ-პედაგოგების სახელფასო პოლიტიკის, სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის/ლიცენზირებისა და დირექტორებისა და მასწავლებლების სერტიფიცირების სტანდარტებისა და სისტემის პროექტს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და საფუძველზე.

პროექტის აქტივობების მართვა განხორციელდება პროექტის მართვის სახელმძღვანელოს (POM) შესაბამისად.

აღმასრულებელი დირექტორი ხელმძღვანელობს მონიტორინგისა და შეფასების პროცესს. მონიტორინგისა და შეფასების ამოცანაა უკუკავშირის გზით ინფორმაცია მიაწოდოს ყველა მონაწილე მხარეს მიღწეული პროგრესის, სამუშაოების შესრულების ვადებთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების შესახებ და შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე გამოავლინოს პრობლემები საჭირო ცვლილებების დროული განხორციელების უზრუნველსაყოფად.

პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული იქნება შემსრულებელი უწყება, დამოუკიდებელი კონსულტანტები, პროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირები და პარტნიორები.

აღმასრულებელი დირექტორი სამინისტროს აცნობს განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხას, სამინისტროსთან ათანხმებს პროგრამაში შემავალ ნებისმიერ ცვლილებას, წლის განმავლობაში ორჯერ (ასევე დამატებით, სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე) სამინისტროს წარუდგენს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

მონიტორინგის შედეგების შესახებ ინფორმაცია მსოფლიო ბანკსა და სამინისტროს მიეწოდება პროგრამის განხორციელების წლიური ანგარიშების მეშვეობით.

მუხლი 5. პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი

წარმოდგენილი პროგრამის პირველი ორი კომპონენტის პირდაპირი ბენეფიციარები იქნებიან სახელმწიფო სკოლამდელი განათლების დაწესებულებების აღმზრდელები, საჯარო სკოლების მოსწავლეები, მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომლებიც ისარგებლებენ ამ პროგრამის მიერ დაფინანსებული გაუმჯობესებული საგანმანათლებლო გარემოთი და სწავლება-სწავლის ხარისხით. აგრეთვე, სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლები, ბავშვები, სკოლამდელი განათლების დაწესებულებების თანამშრომლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორები, ადმინისტრაცია და სტუდენტები.

პროგრამის ამოცანები ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებს. პროგრამის განსაკუთრებული სამიზნე ჯგუფია დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების და მარტოხელა მშობლების ბავშვები, ლტოლვილის სტატუსის მქონე და იძულებით

გადაადგილებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები, მოსწავლეები და სტუდენტები. პროგრამის ფოკუსში იქნება ის სკოლები, რომლებიც მაღალმთიან რეგიონებში ან სოფლად მდებარეობს.

მუხლი 6. პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

პროგრამის ამოცანა შესრულებულად ჩაითვლება, თუ საბაზისო მონაცემებთან მიმართებით სკოლამდელ განათლებასთან წვდომა გაიზრდება და ზოგადი განათლების სისტემაში სწავლება-სწავლის ხარისხი და საგანმანათლებლო გარემო გაუმჯობესდება.

კომპონენტი 1.

პროგრამის კომპონენტების სამიზნე მაჩვენებლები მიღწეულია, კერძოდ:

- გაუმჯობესებულია ადრეული განათლების ხარისხი და გაზრდილია ხელმისაწვდომობა სასკოლო მზაობის კომპონენტზე/ჯგუფებზე;
- შემუშავებული და დანერგილია პროფესიული მომზადების ტრენინგ-მოდულები ბავშვზე ორიენტირებული მეთოდის შესაბამისად სკოლამდელი განათლების დაწესებულებების დირექტორების და აღმზრდელ-პედაგოგებისათვის;
- შემუშავებულია ანაზღაურების სისტემა სკოლამდელი განათლების დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგებისთვის;
- შემუშავებულია ადრეული განათლების საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა/ინსტრუმენტები;
- განახლებულია არსებული სასკოლო მზაობის პროგრამა;
- გაუმჯობესებულია საგანმანათლებლო გარემო შერჩეულ სკოლებში, სასკოლო მზაობის პროგრამის წარმატებით დანერგვის მიზნით; მომზადებულია აღმზრდელ-პედაგოგები; შექმნილია EMIS სისტემებთან ინტეგრირებული სკოლამდელი განათლების მონაცემთა სისტემატური და ზუსტი მონაცემების მოგროვებისა და კონსოლიდაციის მექანიზმი;
- შემუშავებულია აღმზრდელ-პედაგოგთა სერთიფიცირების სისტემა.

კომპონენტი 2.

- სასწავლო ინფრასტრუქტურის სტანდარტები გადახედილი და განვითარებულია ევროკავშირის სტანდარტებისა და სპეციფიკაციების შესაბამისად;
- ჩატარებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მრავალკომპონენტიანი კვლევა და შეფასება. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია არსებული მდგომარეობა, განსაზღვრულია ბოლო პერიოდში სარეფორმო ინიციატივების განხორციელების შედეგები, განვითარების დინამიკა და ტენდენციები, რაზე დაყრდნობითაც შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები სკოლებში განსახორციელებელი, განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამების დასაწერად. ამ კვლევის შედეგები სამინისტროს აძლევს განხორციელებული რეფორმების შედეგების გაანალიზების შესაძლებლობას, მათ შორის, ე.წ. ახალი სკოლის მოდელის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღწევებისა და გამოწვევების შეფასებისა, და სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით შემდგომი ინტერვენციების დაგეგმვისათვის;
- ჩატარებულია დიაგნოსტიკური კვლევა, რომელიც მოიცავს სკოლის მართვის, მასწავლებლების/თანამშრომლების აყვანის პოლიტიკის, დაფინანსების სისტემის, რესურსების ხელმისაწვდომობისა და მოსწავლეების შედეგების შეფასებას. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შემუშავებულია ხარისხის მართვის ჩარჩო და მექანიზმები;
- დანერგილია თემატური ინოვაციური პროგრამები, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეების ინტერესების მხარდაჭერას, ნიჭიერთა გადრმავეული სწავლების დანერგვას (სპორტი, მათემატიკა, ტექნოლოგია, ხელოვნება და მეცნიერება და სხვა

მიმართულებით); შექმნილია STEAM-ის ექსტრაკურკულარული პროგრამები ხელოვნების, მეწარმეობის და სხვა მიმართულებით;

- გადახედილი და დახვეწილია პროფესიული განვითარების ჩარჩო მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- გადახედილი და განახლებულია სკოლის ლიდერების რეკრუტირებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმები;
- სკოლის ლიდერებისა და მასწავლებლების მხარდაჭერა შეთავაზებულია შესაბამისი მომზადება-გადამზადების მოდულები - თანამედროვე პედაგოგიკის, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების, განმავითარებელი შეფასებების, სასკოლო გეგმების, გენდერული მგრძობელობის და ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

კომპონენტი 3.

- უმაღლესი განათლების სისტემისთვის შემუშავებულია რეკომენდაციები დაფინანსების ახალი ეფექტიანი მოდელის დასაწერად;
- გაუმჯობესებულია შერჩეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო შესაძლებლობები, მათ შორის, გაზრდილია კერძო სექტორთან პარტნიორობისა და შრომის ბაზარზე ორიენტირების მაჩვენებელი, შექმნილია განათლებისა და მეცნიერების მენეჯმენტის მიმართულებით კვლევებზე კონცენტრირებული ერთობლივი სადოქტორო პროგრამა და გაუმჯობესებულია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხარისხი;
- მასწავლებლების მოსამზადებელი საუნივერსიტეტო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისათვის შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები და შერჩეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მინიჭებული აქვს საერთაშორისო აკრედიტაცია.

კომპონენტი 4.

- გაძლიერებული/სტრუქტურირებულია სისტემაში ანალიტიკის კომპონენტი და გაზრდილია მონაცემებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღება განათლების სფეროში;
- დანერგილია სწავლების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა;
- გაძლიერებულია მონაცემების შეგროვების, გაცვლისა და დუშავების შესაძლებლობები, პირადი ინფორმაციის და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა.

მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	სულ 2020-2025 წელი
ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი	1,075,000	26,550,000	23,000,000	23,000,000	23,000,000	22,583,045	119,208,045

მუხლი 8. ბიუჯეტის განკარგვა და პროგრამის ფინანსური მართვა

პროგრამის ფინანსურ მართვას განახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი და ფინანსური მენეჯერი პროგრამის მართვის ჯგუფთან (PMU) კოორდინაციით. მათი პასუხისმგებლობაა პროგრამის ბიუჯეტის, ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური რეპორტირების, გადარიცხვების განხორციელება, ფინანსების მართვის სისტემის აწყობა და შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვა, ყოველწლიური აუდიტის ჩატარების უზრუნველყოფა.

თავის მხრივ, მსოფლიო ბანკი ჩართული იქნება პროგრამის ფინანსურ მართვაში, შეამოწმებს პროგრამის კვარტალურ თუ წლიურ ანგარიშებს, შიდა კონტროლის მექანიზმებსა და ხარჯების მიზნობრიობას.

პროგრამის ფინანსური მენეჯერი აგროვებს ინფორმაციას პროგრამის სხვადასხვა მიმართულების ხელმძღვანელებისგან მოსალოდნელი ხარჯების შესახებ და შეიტანს პროგრამის წლიურ ბიუჯეტში. ყოველი წლის ბოლოს, მომდევნო წლის ბიუჯეტი წარედგინება სამინისტროს და მსოფლიო ბანკს დასამტკიცებლად.

აღმასრულებელი დირექტორი არის პროგრამულ ბიუჯეტზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც განკარგავს პროგრამის მიზნების მისაღწევად გათვალისწინებულ სახსრებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავს პროგრამის მიზნების მიღწევისთვის საჭირო ღონისძიებებს;

პროგრამის მართვის ჯგუფი (PMU) ანგარიშვალდებულია ბიუჯეტის განმკარგავის წინაშე, უშუალოდაა ჩართული პროგრამის საქმიანობაში და გააჩნია საქმიანობის მიზნები და ამოცანები.

პროგრამის მართვის ჯგუფის (PMU) წევრები უზრუნველყოფენ მათი საქმიანობის შესაბამისობას პროგრამის/ქვეპროგრამის მიზნებთან.

8.1 გადარიცხვის პროცედურები და პროცესი

გადარიცხვების სპეციალისტი/ბუღალტერი ამზადებს გადარიცხვებსა და საბუღალტრო სისტემაში გატარებებს, ხოლო ფინანსური მენეჯერი ამოწმებს და ადასტურებს მათ. დადასტურების შემდეგ, აღნიშნული ეგზავნება პროგრამის აღმასრულებელ დირექტორს საბოლოოდ გადარიცხვის დასამოწმებლად.

კრედიტის და საქართველოს თანადაფინანსების ანგარიშები გახსნილია სახელმწიფო ხაზინაში. ანგარიშებზე წვდომის სხვადასხვა დონის უფლება აქვთ მინიჭებული თანამშრომლებს:

- აღმასრულებელი დირექტორი;
- ფინანსური მენეჯერი;
- გადარიცხვების სპეციალისტი/ბუღალტერი.

მსოფლიო ბანკიდან თანხის გამოთხოვისათვის წარდგენილია სამი უფლებამოსილი პირი, რომელთაგან ნებისმიერი ორი პირის ხელმოწერის შემთხვევაში განხორციელდება თანხის ხაზინის ანგარიშზე ჩამორიცხვა, ან კონტრაქტორისთვის პირდაპირი გადარიცხვა:

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე (პროგრამის კოორდინატორი)

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
- აღმასრულებელი დირექტორი.

8.2 პროგრამის შესყიდვების მართვა

- პროგრამის შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული საკითხები (მაგ.: შესყიდვების გეგმის მომზადება/განახლება, შესყიდვების განხორციელება, ტენდერის და მასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარება, კონტრაქტის გაფორმება/მართვა) რეგულირდება პროექტის მართვის სახელმძღვანელოს (POM) და მსოფლიო ბანკის რეგულაციების საფუძველზე.
- პროგრამის შესყიდვების გეგმას ამზადებს პროგრამის მართვის ჯგუფის (PMU) შესყიდვების სპეციალისტი, რომელიც თანხმდება სამინისტროსთან; პროგრამის შესყიდვების გეგმის შეთანხმების შემდეგ, აღნიშნულ გეგმას პროგრამის შესყიდვების სპეციალისტი შესათანხმებლად უგზავნის მსოფლიო ბანკს სისტემა „STEP“-ის მეშვეობით (STEP- Systematic Tracking Exchanges in Procurement- არის მსოფლიო ბანკის მიერ დანერგილი ელექტრონული სისტემა, ყველა ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამის შესყიდვების სამართავად);
- პროგრამის ფარგლებში სათანადო შესყიდვების პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრო ქმნის სატენდერო კომისიას მინისტრის ბრძანების საფუძველზე. სატენდერო კომისია შედგება პროექტის კოორდინატორი მინისტრის მოადგილის (რომელიც განისაზღვრება სატენდერო კომისიის თავმჯდომარედ) და დამატებით სამინისტროს თანამშრომელი 3 წევრისაგან.
- სატენდერო კომისიის ყველა წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. სატენდერო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სატენდერო კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსის საფუძველზე. სატენდერო წინადადებების შეფასების პროცესი კონფიდენციალურია. თითოეულ შესყიდვაზე სატენდერო წინადადებების შეფასების მიზნით, სატენდერო კომისია ამტკიცებს 3-5 წევრისაგან შემდგარ შეფასების ჯგუფს, სატენდერო კომისიის ოქმის საფუძველზე. შეფასების ჯგუფის შემადგენლობაში აუცილებელია პროგრამის შესყიდვების სპეციალისტის გათვალისწინება.
- შეფასების ჯგუფი კონსენსუსის საფუძველზე შეიმუშავებს შეფასების ანგარიშს. შეფასების ჯგუფის მიერ შეიმუშავებული ანგარიში წარედგინება დასამტკიცებლად სატენდერო კომისიას.

მუხლი 9. შედეგების შეფასების ინდიკატორები

9.1. საბაზისო მაჩვენებელი - არსებული რეალობის ამსახველი ინდიკატორი

- სასკოლო მზაობის პროგრამაში (სკოლამდელ დონეზე) ჩარიცხული 5 – 6 წლის ბავშვების პროცენტული წილი;
- 5-6 წლის ასაკის გოგონების პროცენტული წილი;
- იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ გაუმჯობესებულ სასწავლო გარემოზე საპროექტო სკოლებში;
- მოსწავლეების სწავლის შედეგები კომპეტენციებზე დამყარებულ შეფასებებში ზოგადი განათლების საპროექტო სკოლებში (გაზომილი საბაზისო და საბოლოო მონაცემების მიხედვით);

9.2. 2020 წელს მისაღწევი სამიზნე მაჩვენებელი

- შეიქმნა და დაკომპლექტდა პროგრამის მართვის ჯგუფი.

კომპონენტი 1.

- დაწყებულია აქტივობა სკოლამდელი განათლების დიაგნოსტიკური შესწავლის მიზნით, რომელიც გულისხმობს ამ სფეროში არსებული პროფესიონალური განვითარების, მონიტორინგისა და ანგარიშგების, მართვისა და კოორდინაციის სისტემების ანალიზს; ასევე სკოლის ბაზაზე არსებული სასკოლო მზაობის ჯგუფების კვლევას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;

კომპონენტი 2.

- დაიწყო სასწავლო ინფრასტრუქტურის სტანდარტების გადახედვა და განვითარებისკენ მიმართული აქტივობა;
- დაიწყო აქტივობა ზოგადი განათლების სისტემის დიაგნოსტიკურის მიმართულებით, რაც მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მრავალკომპონენტურ კვლევასა და შეფასებას. კვლევის ფარგლებში გაანალიზდება არსებული მდგომარეობა, განისაზღვრება ბოლო პერიოდში სარეფორმო ინიციატივების განხორციელების შედეგები, განვითარების დინამიკა და ტენდენციები, რაზე დაყრდნობითაც შემუშავდება კონკრეტული რეკომენდაციები სკოლებში განსახორციელებელი, განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამების დასაწერად. კვლევის შედეგები დაეხმარება სამინისტროს განხორციელებული რეფორმების შედეგების გაანალიზებაში, მათ შორის, ე.წ. ახალი სკოლის მოდელის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღწევებისა და გამოწვევების შეფასებაში, და სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით შემდგომი ინტერვენციების დაგეგმვაში.

კომპონენტი 3

- უმაღლესი განათლების დონეზე დაწყებულია აქტივობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავებისათვის;

კომპონენტი 4

- ჩატარებულია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საჭიროებების კვლევა.
- დაწყებულია რეკომენდაციების შემუშავება და იმ აქტივობების განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს მონაცემების ინტეგრირების პოლიტიკის შემუშავებას საგანმანათლებლო პოლიტიკის უკეთ დაგეგმვის მიზნით.

9.3. 2025 წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

კომპონენტი 1.

- სასკოლო მზაობის პროგრამა განახლებულია და წარმატებით იწერება;
- შემუშავებულია პროფესიული განვითარების სისტემა სკოლამდელი განათლების დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგთათვის, რომელიც მოიცავს როგორც სასერთიფიკაციო, ასევე სახელფასო პოლიტიკას;
- ჩატარებულია პროფესიული განვითარების ტრენინგები და შემუშავებულია სასწავლო რესურსი სკოლამდელი განათლების დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგთათვის;
- სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში და სკოლების სასკოლო მზაობის პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა 92%-მდე გაზრდილია;

- შექმნილია აღსაზრდელების ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც ინტეგრირებულია EMIS-თან. სანდო და ხარისხიანი მონაცემების ინტეგრირების საფუძველზე ემსახურება სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთათვის სწორი პოლიტიკის დაგეგმვას.
- მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF-ის) მიერ პროექტში შერჩეულ 2–დან 10–მდე ახალ სამოძრაო სკოლამდელ/სასკოლო დაწესებულებაში განახლებადი ენერჯით და ხელმისაწვდომობის სტანდარტების დაცვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის შექმნილია თანამედროვე სასწავლო გარემო;

კომპონენტი 2.

- მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF) მიერ დასრულებულია 2–დან 8–მდე ახალი მოდელის სასკოლო შენობის მშენებლობა და შერჩეული 60–მდე სკოლის რეაბილიტაცია.
- შემუშავებული და დანერგილია ზოგადი განათლების შეფასების ახალი ეროვნული ჩარჩო.
- საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შემუშავებულია ხარისხის მართვის ჩარჩო და მექანიზმები;
- გადამუშავებული და გაუმჯობესებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჩარჩო;
- შემუშავებული და დანერგილია სკოლის ადმინისტრაციის პროფესიული განვითარების სისტემა;
- გადახდილი და განახლებულია სკოლის ლიდერების რეკრუტირებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმები;
- დანერგილია თემატური ინოვაციური პროგრამები, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეების ინტერესების მხარდაჭერას, ნიჭიერთა გადრმავებული სწავლების დანერგვას (სპორტი, მათემატიკა, ტექნოლოგია, ხელოვნება და მეცნიერება და სხვა მიმართულებით); შექმნილია STEAM-ის ექსტრაკურსული პროგრამები ხელოვნების, მეწარმეობის და სხვა მიმართულებით, მათ შორის, უზრუნველყოფილია გოგონების ჩართულობა.
- გახლებული სქემის მიზნების მისაღწევად, მოხდება სკოლის ლიდერებისა და მასწავლებლებისათვის შეთავაზებულია შესაბამისი მომზადება-გადამზადების მოდულები და ჩატარებულია ტრენინგები.

კომპონენტი 3

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგილია ახალი დაფინანსების სისტემა, რომელიც ემსახურება სწავლების და სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესებას;
- გაზრდილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პარტნიორობა საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; ინოვაციების ფონდის მიერ საჯარო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გაცემულია საგრანტო დაფინანსებები, რომლის მეშვეობით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხორციელდება მოდერნიზებული და შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული აკადემიური პროგრამები, მათ შორის, გაუმჯობესებულია ელექტრონული/დისტანციური სწავლებისათვის საჭირო სასწავლო ტექნოლოგიებისა და მეთოდების ხარისხის მაჩვენებელი;
- მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამები შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებობს მასწავლებლის მოსამზადებელი საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საუნივერსიტეტო პროგრამა.

კომპონენტი 4

- შექმნილია ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის პლატფორმა, რომელიც სანდო და ვალიდური მონაცემების სისტემური ანალიზის საშუალებას იძლევა.
- შემუშავებულია სარეფორმო თემებთან დაკავშირებული დაინტერესებულ მხარეებთან საკომუნიკაციო სტრატეგია.

9.4. ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) - ცდომილება დამოკიდებულია იმაზე, თუ პროგრამის საწყის ეტაპზე 2020 წელს დაგეგმილი მისაღწევი შედეგების ნაწილი გადავა 2021 წელს, რაც გამოიწვევს ბიუჯეტის მართვაში ცდომილებას 15%-მდე.

9.5. შესაძლო რისკები და მათი დაძლევის გზები

რისკები	რისკების იდენტიფიკაცია	რისკების დაძლევის გზები
პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე დაგეგმილ ვადებთან ჩამორჩენა	<ul style="list-style-type: none"> • შესყიდვების პროცედურების გაჭიანურება; • მომსახურების შესყიდვის შედეგად, მომსახურების გამწევი პირის მიერ სამუშაოს არადადამაკმაყოფილებელი შესრულება; • პროგრამის გეგმის და ბიუჯეტის მონიტორინგი; • კოვიდ-19 პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვები. 	<p>კვალიფიკაციური კადრების დროული აყვანა და სამინისტროთან ინტენსიური მუშაობა</p> <p>მუშაობა ონლაინ ფორმატში</p>